ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №14

აბაშა, 2021 წლის 19 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირი ვანდა მაკალათიასათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ფიზიკურ პირს ვანდა მაკალათიას (პ/ნ02001009112), აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1787.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 100.14 კვ.მ. ამბულატორიის შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი №40.12.31.165) 2021 წლის 31 დეკემბრამდე.
2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: /მ. კვიტაშვილი